ხელშეკრულება №7

ქსენაკი 4 თებერვალი 2013 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი,ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორი მურმან არ[ილია (შემდგომში წოდებული "დამკვეთად") და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი ალტერნატიული აუდიტორი ვახტანგ კუბეცია, რომელიც მოქმედებს "აუდიტორიული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად (შემდგომში წოდებული "შემსრულებლად"),ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1." დამკვეთი" არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების 2013 წლის 29 იანვრის № 22 მომართვის საფუძველზე ავალებს, ხოლო "შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას, ჩაატაროს 2012 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის აუდიტი შემდეგ საკითხებზე:

- ფულადი საშუალების აუდიტი;
- ინვესტიციების აუდიტი;
- არამატერიალური აქტივების აუდიტი;
- სასაქონლო-მატერიალურ, არამატერიალური მარაგების აუდიტი;
- ანგარიშსწორების აუდიტი;
- დანახარჯების აუდიტი;
- რეალიზაციის აუდიტი;
- ფინანსური შედეგებისა და მათი გამოყენების აუდიტი;
- ფონდებისა და რეზერვების აუდიტი;
- კრედიტებისა და სესხების აუდიტი;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის და ორგანიზაციის აუდიტი.

2. "შემსრულებლის" უფლება-მოვალეობა

2.1. "შემსრულებელი" ჩაატარებს აუდიტს, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ნორმებისა და წესების შესაბამისად;

2.2. დამოუკიდებლად განსაზღვრავს აუდიტორიული მომსახურების ფორმებს და მეთოდებს;

2.3. აუცილებლობის შემთხვევაში, უფლება აქვს სამუშაოს შესრულებისას დამატებით ჩართოს სპეციალისტები და ექსპერტები;

2.4. უფლება აქვს შეამოწმოს სრულად მატერიალური ფასეულობანი, მიიღოს განმარტება აუდიტის მსვლელობისას აღძრულ კითხვებზე და დამატებითი ცნობები, რომლებიც აუცილებელია აუდიტორიული მომსახურეობისათვის;

2.5. უფლება აქვს მიიღოს წერილობითი შეკითხვისას პასუხი მესამე პირისაგან, მათ შორის სახელმწიფო ორგანოების შუამდგომლობით, რომლებმაც დაავალეს შემოწმება;

2.6. მოვალეა კვალიფიციურად ჩაატაროს დაკისრებული სამუშაო და უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის შენახვა, რომელიც მიღებულია და შექმნილია აუდიტორიული შემოწმებისას, არ გათქვას მათი შინაარსი "დამკვეთის" თანხმობის გარეშე;

3. დამკვეთის უფლება-მოვალეობა

3.1."დამკვეთს" უფლება აქვს მიიღოს "შემსრულებისგან" ის ინფორმაცია, რომელიც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული აუდიტის ჩატარებისას, მათ შორის აუდიტორის მიერ გაკეთებული შენიშვნებისა და დასკვნების შესახებ.

3.2.მოვალეა შექნას საშესრულებო პირობები დროული და სრული აუდიტორიული მომსახურეობისათვის, წარმოადგინოს ყველა დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა მისი ჩატარებისათვის, წარმოადგინოს ზეპირი ან წერილობითი განმარტება "შემსრულებლის" მოთხოვნაზე;

3.3. მოვალეა ოპერატიულად აღმოფხვრას აუდიტორიული მომსახურეობისას გამოვლენილი დარღვევები.

4. შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესრულებული სამუშაო ფორმდება აუდიტორიული დასკვნით, რომელსაც ხელს აწერს აუდიტორი და სპეციალისტი, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით. აუდიტორული დასკვნა დგება სამ ეგზემპლარად, ორი გადაეცემა "დამკვეთს" ერთი რჩება "შემსრულებელს", რისი წარდგენაც შეუძლია "დამკვეთს" ნებისმიერ ინსტანციაში

5. სამუშაოს ღირებულება და ანგარიშსწორება

5.1."დამკვეთმა" უნდა გადაუხადოს "შემსრულებელს" წლიური აუდიტორიული მომსახურეობისათვის 2800 (ორიათასრვაასი) ლარი;

5.2."დამკვეთი" ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების დღიდან სამუშაოს დაწყებისათვის "შემსრულებელს" ჩაურიცხოს სამი დღის ვადაში გადასახადი თანხის 30 %;

5.3. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1."შემსრულებელი" პასუხისმგებელია აუდიტორიულ დასკვნაზე;

6.2.თუ "დამკვეთი" არ უზრუნველყოფს ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენას, "შემსრულებელს" შეუძლია შეაჩეროს ხელშეკრულება, ავანსად გადახდილი თანხის დაუბრუნებლად;

6.3. ხელშეკრულების ნაწილობრივი ან მთლიანად შეუსრულებლობის დროს მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს წარმოადგენს გადაულახავი ძალისხმევის შედეგს (ფორს-მაჟორი), რომელიც განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

7. კონფიდენციალურობა

7.1.მხარეები ერთმანეთს ათანხმებენ მონაცემთა ჩამონათვალს, რომლებიც შეადგენენ კომერციულ საიდუმლოებას;

7.2."შემსრულებელი" აგებს პასუხს იმ მონაცემების გახმაურების გამო,რომელიც შეადგენს "დამკვეთის" კომერციულ საიდუმლოებას.

8. სხვა პირობები

8.1.არც ერთ მხარეს არ შეუძლია გადასცეს თავისი უფლება-მოვალეობები ამ ხელშეკრულების მიმართ მესამე პირს, თუ არ არის მეორე მხარის მიერ წერილობითი თანხმობა;

8.2. ყველა დამატება და ცვლილება, რომელიც შევა არსებულ ხელშეკრულებაში ძალაშია,თუ წარმოდგენილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია მასზე უფლებამოსილი პირების მიერ.

9. დავის გადაწყვეტა

9.1.ყველა სახის უთანხმოება რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე, თუ ისინი ვერ გადაწყდა მოლაპარაკების გზით,გადასაწყვეტია არსებულული კანონმდებლობის მიხედვით.

10. ხელშეკრულების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და "შემსრულებლის" ანგარიშსწორების ანგარიშზე "დამკვეთის" მიერ წინასწარი თანხის ჩარიცხვიდან, ვალდებულებები მის მიმართ რჩება იქამდე, სანამ არ იქნება შესრულებული საბოლოო ანგარიშწორებები "დამკვეთსა" და " შემსრულებელს" შორის;

10.20. ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს ერთ-ერთი მხარის სურვილით, წერილობითი მიმართვის შემდეგ მეორე მხარისადმი ერთი თვით ადრე.

ხელშეკრულება ძალაშია 2013 წლის 4 თებვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით. შედგენილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა 'დამკვეთს", ხოლო ერთი ეგზემპლიარი რჩება "შემსრულებელს":

„დამკვეთი"

სენაკის მუნიციპალიტეტის

სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების

დირექტორი მურმან არჩილია

მისამართი: ზვ.გამსახურდიას 117

ს/ნ 239892434

სს ლიბერთი ბანკის სენაკის ფილიალი

ანგ. # GE74LB0120117902830000

ბანკის კოდი: LBRTGE22

საკონტაქტო ტელ: 599 69 85 85

დირექტორი: მ. არჩილია

„შემსრულებელი"

ფიზიკური პირი ალტერნატიული

აუდიტორი ვახტანგ კუბეცია

მისამართი: ქ.სენაკი რუსთაველის 109

ს/ნ 39001008687

სს საქართველოს ბანკი სენაკის ფილიალი

ანგ # GE47BG0000000138430701

ბანკის კოდი: BAGAGE22

საკონტაქტო ტელ: 595 17 58 10

V.K

აუდიტორი ვ. კუბეცია